დიდი ცოდვებია: ალლაჰზე თანაზიარის დადგენა, მშობლებისადმი ურჩობა, ადამიანის მკვლელობა და ტყუილზე დაფიცება

გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ ამრისგან (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: დიდი ცოდვებია: ალლაჰზე თანაზიარის დადგენა, მშობლებისადმი ურჩობა, ადამიანის მკვლელობა და ტყუილზე დაფიცება.

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს დიდ ცოდვებს, რომლებიც არის ისეთი ქმედებები, რომელთათვისაც ჩამდენს აღეთქვა მკაცრი სასჯელი ამქვეყნად და საიქიოში. პირველი მათგანია "ალლაჰზე თანაზიარის დადგენა": ეს გულისხმობს რომელიმე თაყვანისცემის ფორმის მიძღვნას ალლაჰის გარდა ვინმეს ან რაიმესთვის, ასევე ვინმეს ან რაიმეს ალლაჰის მსგავსად მიჩნევას ისეთ საკითხებში, რომლებიც მხოლოდ მას ეკუთვნის, მაგალითად, მისი ღვთაებრიობის, ბატონობის, მისი სახელებისა და ატრიბუტების მხრივ. მეორე: მშობლებისადმი ურჩობა - გულისხმობს ყველაფერს, რაც ზიანს აყენებს მშობლებს, იქნება ეს სიტყვით თუ ქმედებით, და ასევე მათ მიმართ სიკეთის უგულებელყოფა. მესამე: ადამიანის მოკვლა უფლებამოსილების გარეშე, როგორიცაა მკვლელობა უსამართლოდ და მტრულად. მეოთხე: "ცრუ დაფიცება" - ეს გულისხმობს შეგნებულად ტყუილზე დაფიცებას, როდესაც ფიცის მიმცემმა იცის, რომ ცრუობს. მას ასე უწოდეს, რადგან ის „ჩააფლობს“ ადამიანს ცოდვაში ან ჯოჯოხეთის ცეცხლში.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3044

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee